

"დაზოგვე წყარი" – თბილისის მერია აქციას უერთდება

✘ წყლის დაზოგვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ უპრეცედენტო პროექტი „დაზოგვე წყარი“ დაიწყო. პრეზენტაციას ვარკეთილის 117-ე საჯარო სკოლაში თბილისის მერი დავით ნარმანია სამგორის რაიონის გამგებედთან, გიორგი ბაგრატიონთან ერთად დაესწრო.

პროექტის მნიშვნელობაზე, მის მიზნებსა და განვითარების ეტაპებზე თბილისის მერთან ერთად დეტალურად ისაუბრეს კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი ცხადაძემ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგრა აგურაშვილმა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ – რია გიგაურმა.

„მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ უხვად გვაქვს წყლის რესურსები ქვეყანაში, მნიშვნელოვანია, რომ ეს ყველაფერი გამოვიყენოთ რაციონალურად, სწორად, ეფექტიანად. შესაბამისად, სკოლის მოსწავდეებისა და თითოეული ჩვენი თანამოქალაქის ჩართულობა მსგავს კამპანიებში არის მნიშვნელოვანი. GWP თბილისის მერიასთან ერთად არაერთ საინტერესო პროექტს ახორციელებს, მათ შორისაა, წყლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოები, რაც, ერთის მხრივ, ასევე დაკავშირებულია წყლის რაციონალურად ხარჯვასთან და მეორეს მხრივ, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან. სწორედ ამიტომ, ჩვენ მივვსადრებით ამ და სხვა მსგავს ღონისძიებებს, რომელსაც კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს ბოლო პერიოდის განმავლობაში,“- განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

პროექტის მიზანი წყლის რესურსის მდგრადი მოხმარება, დაზოგვა და მოზარდი თაობის დახმარებით აღნიშნულ საკითხზე სამოქალაქო აქტივობის გაზრდაა. კომპანია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების მხარდაჭერით ხორციელდება. პრეზენტაციის მიმდინარეობისას, პროექტის მხარდამჭერ სამინისტროებთან ურთიერთთანამშრომლობის

მემორანდუმი გაფორმდა.

საპილოტე პროექტი ვარკეთილის რაიონის 16 სკოლაში, 3 თვის განმავლობაში, არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოხედვასთან ერთად“ განხორციელებს. აღნიშნული სკოლების მოსწავდეები გაივლიან საგანმანათლებლო ტრენინგებს, GWP ორიმპიადის ფარგლებში ერთმანეთს წყდის დაზოგვასა და ეკოვიქტორინაში შეეჯიბრებიან და სხვა აქტივობებში ჩაერთვებიან.

კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდრი“ პროექტს თბილისის სხვა რაიონებშიც განახორციელებს.